ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

2026 წლის 8 იანვარი

ქ. თბილისი

„ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის №12 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 19/07/2017, 010320010.35.147.016165) დამტკიცებული №1 დანართი შეიცვალოს შესაბამისად ახალი №1 დანართით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ერედვის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ემზარ ბერუაშვილი

დანართი №1

ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

№	რანგი	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო ნუსხა
1		საკრებულოს თავმჯდომარე	5126	1
2		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3531	1
3		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2761	3
4		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2761	1
5		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1474	1
6	პირველი რანგი – მაღალი მმართველობითი დონე	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – საკრებულოს აპარატის უფროსი	2785	1

7	მეორე რანგი – საშუალო მმართველობითი დონე	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – აპარატის განყოფილების უფროსი	2240	1
8	მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1600	2
9	მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1440	3